



კვირა, 13 მარტი ფ ა ს ი
 № 11 — 1916 10 კ.

მიიღება ხელ.ს მ რ წ მ ა 1916 წ. უზრ.
 თეატრი და ცხოვრება
 წელიწადი მეოთხე. (იხ. № 4 გვ.)



მენე სიული
 საფრანგეთის გამოჩენილი ტრაგიკოსი, პამლეტის
 რედაქტორი, ქ. 19 თებერვ.



პრაპორ შჩიკი

თავ. ღიმიბ. ნიკ. თარხან-მოურავი

ბრძოლის ველზე დაზიანების გა
მო უზროვოდ გარდიცვალო და სოფ.
ერთაშემინდას წაასვენეს, 13 მარტს
საგვარეულო აკლდ. დასაკაძლოაქად



№ 11

რედაქციის განცხადება

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირიპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი“ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთ 5—7 ს., ტელეფონი № 15-41. მისამართი: Тифлисы, Ред. „Театри да Цховრება“ I. Имедашвили

წელიწადი
მ ე თ ს ხ ი

№ 11

კვირა, 13 მარტი

1916 წ.

13 მარტი

თესლი
ნაყოფიერი

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თესლი ნახევარი საუკუნის წინ—1866 წ. 4 მარტს ჩაიყარა ხრიოკ ნიადაგში.

ეს თესლია პირველი ქართული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი გაზეთი „დროება“.

მართლაც ხრიოკი იყო მაშინდელი ჩვენი ცხოვრება, ირგვლივ სიჩუმე, უნუგეშო მარტობა... მაგრამ მთესველნი ისეთი შეუდრეკელნი აღმოჩნდნენ, რომ შეუძლებელი შესძლეს და ნეტარ მომავლისაკენ გზა გაგვიკაფეს...

ეს მადლიანი მთესველნი იყვნენ გ. წერეთელი, სერგეი მესხი, ივ. მაჩაბელი, ილ. ქავჭავაძე, კირ. ლორთქიფანიძე, სტ. მელიქიშვილი, გ. ქართველიშვილი და სხ., რომელთა მადლიანმა ხელმა და ხალხოსნურ-მამულიშვილური გრძობით გამთბარმა გულმა ჩვენი ერი გაფხიზლება-აღორძინების გზას შეუყენა...

მართალია მათის ნაამაგდარით ჩვენმა ერმა უკვე თვალსაჩინო ნაბიჯი გადასდგა, ამ დეაწლის აღსანიშნავად მადლიერმა შთამომავლობამ გასულ კვირას პანაშვილიც გადაიხადა, მაგრამ ყოველივე ეს სახსენებელიც არ არის იმ განუზომელ სიკეთესთან, რომელიც კურთხეულ წინაპართ შემოგვძღვნეს...

ეს დღე უფრო ღირსეული საქმით უნდა აღინიშნოს...

ამის დრო კი ჯერ არ დამდგარა: ჩვენი

ქვეყანა ჯერ კიდევ ძაძითაა მოსილი, მისი ცხოვრების ცა—მოზინდული, ქართველთა აზროვნება—დაქსაქსულ-გაორქოფებული...

ხოლო როდესაც „აწმყო შობილი წარსულისაგან“ ჰშობს ჩვენი ხალხის ბედნიერ მომავალს, მხოლოდ მაშინ ვიდრესასწაულებთ ღირსეულად ჩვენი სულიერი წინაპრის—„დროების“—ა და მის ნაამაგდართა ხსოვნას...

მათი თესლი სავსებით ჯერ კიდევ ვერ ნაყოფიერებულა, ჯერ კიდევ თოვლ ქვეშაა... მაშ მოუვაროთ, ჯეჯილად ამოხეთქილი ვმარგლოთ, ხელი შეუწყოთ, რომ მოსავალი ძლიერი მოგვცეს...

უპატრონოთ
თავსა ჩვენსა!

სხვათა ხელშემატებრობამ, შორიდან მოწყალეების მოლოდინმა იქამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა, რომ აქ, ამ ბუნებით უხვს წალკოტში არა თუ სხვა და სხვა ქსოვილთა, ლითონეულთა ანუ ქალაღდის ქარხანა-სამრეწველოები ვერ შეეკმენით, არამედ—იმდენი პური და სიმინდიც ვერ მოგვიყვანია, რომ სიმშლით არ დავიხოცნეთ...

მიმდინარე საშინელმა ომიანობამ უკვე გადმოშალა ჩვენი წარსულის ნაკვალევი—დღევანდელი იარები: უმთავრესად სამეურნეო ჩვენი ქვეყანა უცხო მეურნეთა შემაცქერელი შეიქმნა და სიმშლილი ელის...

როდემდის, როდემდის უნდა ვიყვნეთ ასე ხელგაწვდილნი?

ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, რომელმაც დიდი და განუზომელი ამაგი

დასდო ჩვენს ქვეყანას—განსაკუთრებით ჩვენს ძმებს მაჰმადიან ქართველებს—აქარლებს და რომელსაც შეძლება დიდი აქვს, მთავრობაც ღირსეული ნდომით უყურებს, ვერ მოახერხა ხალხისთვის ჩრდილოეთიდან სათესლე და საკმაო საკვები შემოეტანა, თუმცა რამდენიმე ათასი ფუთი უკვე ნაყიდი აქვს...

ჩვენმა ხალხმა თვითონვე უნდა გამოიჩინოს თაოსნობა და რა გზითაც უნდა იყოს, სათესლე და ფქვილი შემოიტანოს, ხოლო შემდეგისათვის ეცადოს—თვისი მეურნეობა იმ ღონემდის აიყვანოს, რომ სხვის შემაკტვრელი—ჩრდილოეთისკენ ხელგაწვდილი აღარ შექმნეს...

ხსნა მხოლოდ თვითმოქმედებაშია, საკუთარ შემოქმედებითი ძალთა ამუშავებაში ..



გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

გაზეთებში აღნიშნული იყო ბ. ნოე სიხარულიძისაგან დანიშნული პრემიები ჩონგურის საუკეთესო დამკვრელთათვის. ბ. ნოე სიხარულიძის წირფელი გულშემატკივრობა ეროვნულ საქმისთვის დიახაც რომ საქები და მისაბაძი მაგალითია, მაგრამ არ შემოძლიან ყურადღება არ მივაქციო ერთ მხარეს, რომელიც სახიფათოდ მიმაჩნია...

ქართული სიმღერა-გალობა დიდი ეროვნული განძია და მისი შენახვა-განვითარება ეროვნული მოვალეობაა; მხოლოდ რაც შეეხება ჩონგურ-ქიანურის პროპაგანდას ახალგაზღვრაში (აქ ახალგაზღვრა უნდა ვიგულისხმოდ, როგორც ჩვენი კულტურული წინმსვლელობის იმედი), რაც შეეხება ჩონგურ-ქიანურის მნიშვნელობას მომავალს ჩვენს მუსიკალურ განვითარებაში, —ღმერთმა დაგვიფაროს, რომ მათ ანაბარად არ დავჩრქვით!..

ჩონგური, ქიანური, თარი და გიტარა—მანდოლინაც მხოლოდ „საყველ-პურო“ მუსიკალური საკრავებია და ანტი მამაგაფი აქვთ ხელოვნებაში; ჩონგური და ქიანური მხოლოდ ხალხურ საკრავებად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მათ ღარიბ შინაარს შეუძლიან დააკმაყოფილოს მხოლოდ მდამიო ხალხის განუვითარებელი გემოვნება. ჩონგურ-ქიანურის მუსიკალური პოტენცია მეტად სუსტია და ხელოვნების განვითარებას შორს გზას ვერ გაჰყვება; ამ საკრავებს ჩვენს მუსიკაში ისეთივე ალაგი უკავიათ ზედმიწევნით, როგორც, მაგალითად, ძველებურს უზარ-მაზარ გუთანს ჩვენს მეურნეობაში: ჩონგურ-ქიანურის „გაღმერთება“ ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც ძველებური გუთნით ხენა—ქაპანწყვეტა!..

სიკალური პოტენცია მეტად სუსტია და ხელოვნების განვითარებას შორს გზას ვერ გაჰყვება; ამ საკრავებს ჩვენს მუსიკაში ისეთივე ალაგი უკავიათ ზედმიწევნით, როგორც, მაგალითად, ძველებურს უზარ-მაზარ გუთანს ჩვენს მეურნეობაში: ჩონგურ-ქიანურის „გაღმერთება“ ისეთივე შეცდომა იქნებოდა, როგორც ძველებური გუთნით ხენა—ქაპანწყვეტა!..

გაზეთების თითქმის ყოველ ნომერში შეხედებით: „სახელგანთქმული ანრი მარტო... გოფმანი... კუბელიკი... ვილლი ფერერო... რახმანიოვი... გუბერმანი... ხეიფიცი“—და არსად არც ერთი „ნაცნობი“ გვარის... ღმერთმა აკურთხოს და ამრავლოს ეს მშვენიერი ხელოვანი ადამიანთა საბედნიეროდ, მაგრამ ამ უცხო გვართა ყურწართმეულს გული სევდით გვესება, რომ მათ რიცხვში არ არის ანტი ერთი ქართველი!

გვსურს თუ არა, რომ ქვეყნიერებაში ჩვენც სხვის თანასწორნი ვიყვნეთ? გვსურს თუ არა, რომ კაცობრიობის საუნჯეში ჩვენც შევიტანოთ რამ და არა მარტო მივიღოთ სხვისგან, როგორც მოწყალება უქნარა—პარაზიტებმა? რა შეგვაქვს ჩვენ დღეს საერთაშორისო ცხოვრებაში ჩვენი მუსიკალური საუნჯიდან? თითქმის არაფერი!.. ან კი საიდან? დღეს ჩვენ ისევ შემქვარტლულ ბუხარს ვუსხედვართ და ჩონგურს ვაჩხლავკუნებთ...

განა გოფმან-კუბელიკების მამა-პაპათ კი არა ჰქონდათ ჩონგურები, მაგრამ დღეი ხანია, რაც იმათ ისტორიას ჩააბარეს ეს ძვირფასი ეროვნული საკრავები და ახალგაზღვრა კი აღზარდეს როიალზე, ვიოლინოზე, ურომლისოდაც ყოველად შეუძლებელია მუსიკალური ხელოვნების განვითარება უძალდეს წერტილამდე. დეე, ჩონგურ-ქიანური დარჩეს ხალხში, ვიდრე ეს აკმაყოფილებს მის მუსიკალურ მოთხოვნილებას და მეტს ხელი არ მიუწვდება, ჩვენი მომავლის იმედს—ახალგაზღვრებას კი ავაცდინოთ ეს სახიფათო ჩვენი ეროვნული მიდრეკილება!..

არ უნდა დაიკარგოს ან დამახინჯდეს ქართული სიმღერა-გალობის არც ერთი კილო, არც ერთი ჰანგი; უნდა გადადებულ იქმნას

ნოტებზე და შენახული, როგორც დიდებული ეროვნული განძი; ახალგაზღვრა აღვზარდით ნამდვილ მუსიკალურ სასწავლებლებში, შევიმუშავეთ ჩვენი მდიდარი მუსიკალური მასალა,—აი რას უნდა შევადიოთ ჩვენი ჯანი და ღონე და არა ჩონგურ-ქიანურის პრობაგანდას!..

ჩემი ყურადღება მიიპყრო კიდევ ერთმა უცნაურობამ: აღძრულია საკითხი ქართულ მუსიკაზე, ეროვნულ მუსიკაში გაპრყვნილ ელემენტების შემოქრახე, ახალგაზღვრის მუსიკალურად აღზრდაზე — და ამ სპეციალური მიმე საკითხებით მიუმართავეთ... ეთნოგრაფიული საზოგადოებისთვის!..

თბილისში არსებობს ქართული ფილარმონიული საზოგადოება და, თუ არა ვცდები, მას „ცოტაოდნა“ შეეხება წამოყენებული საკითხები...

მაგრამ ამაზე შემდეგ...

ნ. ყოყაყაიძე

ჩატეხილ ხილზე

მაჰმადიან ქართველთა სტუმრობა თბილისში

ძმანი ერთმანეთს ჩატეხილ ხილზე შევხვდით...

ჩვენი ცხოვრების ისტორიის გაუკუღმართებული ჩარხი უკვე შემოტრიალდა...

რამდენიმე საუკუნით ურთიერთისგან გათიშულ ძმათა კვლავ ვიპოვეთ ერთმანეთი... და სულით სულს ვეზიარეთ, გულით გულს შევეტკბეთ...

დღემდე ამბად თქმული აწ უკვე საქმედ იქცა...

მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის გაიღო ხილი დარღვეული ურთიერთობის აღსადგენად და განსამტკიცებლად.

გასულ კვირას ბათომის ოლქიდან თბილისის ჩამოვიდა მაჰმადიან ქართველთა დეპუტაცია, 20 კაცისაგან შემდგარი, 3 მარტს მეფის ნაცვალს წარუდგა და მადლობა მოახსენა ყურადღებისათვის, აუხსნა მაჰმადიან-ქართველთა დღევანდელი მდგოვარეობა საქიროე-

ბანი და სთხოვა: 1) დაბრუნების ნება მიეცეთ შიშიანობის დროს ოსმალეთში გადახვეწილ მაჰმადიან ქართველებს; 2) დაბრუნებულ იქმნენ თავიანთს სამშობლოში მართებლობისგან გადასახლებულნი; 3) მაჰმადიან ქართველთა მიწა-წყალი არ გაიციეს იჯარით მოსულ ხალხზე და დაცულ იქმნას მის პატრონთა დაბრუნებამდე და 4) სამართალში მიცემულ მაჰმადიან ქართველებს შეღავათი მიეცეთ. მეფის ნაცვალმა, მისმა უმაღლესობამ დეპუტატებს დიდის ყურადღებით მოუსმინა ყველაფერი და შემწეობა აღუთქვა.

შემდეგ დეპუტაციამ ინახულა დეპუტატთა საკრებულო, ქ. შ. წ. ს. თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი, ქართული გაზეთების რედაქციები და ყველას მადლობა გამოუცხადა დახმარებისთვის იმ განსაცდელისა უამს, რომელიც კერძოდ აქარას და საერთოდ მაჰმადიან ქართველებს თავს დაატყდა...

ათხ შარტს, ქართული პოლიტიკური პრესის არსებობის ოცნებდა ათი წლის შესრულების დღეს, ქართველმა საზოგადოებამ ჩვენს ძვირფას სტუმრებს ნადიმი გაუმართა „ახალი კლუბის“ დარბაზში. ნადიმს დაესწრენ ქართული ეურნალ-გაზეთების და ქართველთა თითქმის ყოველი წოდებისა და ხელობის წარმომადგენელი, 200 კაცამდე. ნადიმის თამადა-თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დამსახურებული მოღვაწე, გენ. გ. ყაზბეგი, რომელიც 70-ნ წ-ში თითქმის პირველმა გასდო ხილი სამუსულმანო და საქრის. საქართველოს შორის, მის თანაშემწეებად—ბ. ნ. გ. გვაზავა და თავ. გ. ნ. დიასამიძე.



ეს ჩვეულებრივი ნადიმი კი არა—ნამდვილი ეროვნული, მრავალთავი გენ. გ. ნ. ყაზბეგი ულ წლებით მიძინებულ ერთი პირველთაგანი ქართველი სულის გაღვივება მოღვაწე სამუსულმანო საქართველოს შექმნის დღესასწაული იყო... მოერთებისა.

და იგი ახალი ხანის სათავედაც დარჩება... გზა მიეცა დასშულ გრძობას, მშობლიურ სწორმეტყველებას; ლალ პოეტურ აღმადგინას...

დინჯი მისაღმება გ. ყაზბეგისა, მდგომარეობის განმარტება პოეტური აღმაფრენით გ. გვაზავასი, დარბაისლური, მარტივი, მძივივით ასხმული, დაგვირისტებული, მაღალ ქუკუს ნაყოფი მამულიშვილური მოწოდება მაჰმადიან ქართველის ხოჯა ცივადისა, რომლის ტკბილ ქართულმა ნათელ ჰყო, რას იგულისხმებდა ქართველი როცა იტყოდა ხოლმე—პირველ თქმულია ძველთაგან სიდაზმისაჲ მესხისაჲ, დაკარგულ ძმათა ძმობა-ერთობის მღალადე-ბელი აღმოთქმა მ. ვ. მაჩაბლისა, გულის გუ-ლიდგან აღმომსკდარი ძახილი რეჯებ ეფენდი ნიჟარადისა, კენესა სულისა მაჰმედ ბეგ აბაში-ძისა, ჩვენი მომავალის განჭვრეტის კაზმული ხატება ს. კედისა, დაკვირვებული და მოსაქ-მე რჩევა ექ. თაყაიშვილისა, ღრმად განსჯილი სახელმწიფოებრივი ბჭობა მხკოვან ნ. ნიკო-ლაძის ანუ გრძობად დამდნარი გამოძახილი გრ. დიასამიძისა თუ ი. მაჭავარიანისა ურთი-ერთს ექიშვებოდენ და ჰქმნიდენ მთლიან ძლიერ ეროვნულ მოწოდებას...

მაგრამ ყველას თაიგული იყო მაჰმადი-ანი ქართველი ხოჯა ცივადე, რომელმაც თავისი დაკვირვებული, ქართულ მამულიშვი-ლური გრძობით გამთბარ, შინაარსიან სადა სიტყვით დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა... არა, ეს სიტყვა კი არ იყო, არამედ პირველ დროის მოციქულთა იერემიასებური მოთქმა-მოწოდება... ძნელია აღიწეროს მისი სიტ-ყვის შვენიერება: იგი სიტყვა კაცს არა თუ უნდა ესმინა, არამედ უნდა ეხილნა, ესუნთ-ქნა, რომ მისი დია-ლობა შეეგრძნო...

„უზენაესის გან-გებით გათიშულნი ძმანი კვლავ ერთად ვართ... და ეს უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს ერთობას... რ. ერისთავი გვასწავ-ლის „როგორც უფა-ლი, სამშობლოც კრ თაჲ ქვეყანაჲ ჯდა“-ო. ერთია ჩვენ სამშობ-ლოც და ურთიერთს საქმით დავეხმარნეთ, მის აღსადგენადოა“.



ისკანდ. ეფენ. ცივადე
ხოჯა, იგივე ყალი—მსაჯუ-ლი, უმაღლესი სწავლა სტამ-ბოლის სასულიერო აკადე-მიის მიწვეული.

—აი მოკლე და მკრთალი ნაქვითი ხოჯა ცივა-დის სიტყვისა.



რეჯებ ბეგ ნიჟარადე
სწავლობდა ქართ. გიმნაზია-ში, გაათავა უმაღლესი სა-სწავლებელი და აწ ბათუმის ქალაქს ხმოსანი-წვევრია.

რეჯებ ბეგ ნიჟა-რადის ყოველს სი-ტყვაში უმთავრესად უმწეოდ დარჩენილ, მაგრამ მომავლის ღრმა რწმენით აღ-ჭურვილ ქაბუკის ხმა მოისმოდა: „უზომო სამსახური გავვიწი-ეთ, მადლობა ათასი, მაგრამ ნუ დაგავიწ-ყდებათ, რომ აქარა აღარ არის ძველი დიდების კერა. იგი ღროთა უკუღმარ-

ობით ჩამორჩა, ძველი ლაშკარი ჩაჰქრა, წყვდიადმა მოიცვა. თუ გსურთ დაგიბრუნ-დეთ, თუ გსურთ მარტო სიტყვიერ შეერთე-ბად არ გამოვიდეს გასაჭირში მყოფ ძმების შეხვედრა, მაშინ მოგვეციოთ სწავლა-განათლება და ოც-ოცდა ათი წლის შემდეგ ჩვენც დაგვიწ-ვიეთ, არაფერში არ ჩამოგრჩებითო“.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მაჰმედ ბეგ აბაშიძემაც: „ყვავილი რო მოსწყდება ღეროს, გასქნება, გაჟვითლდება... როდესაც ყვა-ვილი მოსწყდება, მი-იკათ იგი გულზე, დაიქით ხელში, ეა-ლერსეთ და იქნება იგივე ყვავილი, რაც რომ იყო... აქარა ბედმა ბედმა მოსწ-ყვიტა საუკუნოებით სამშობლოს გულს და ნუ გიკვირთ, თუ ეუ-ცნაურებით, თუ დღეს საკმაოდ ვერ უცვნი-



მაჰმედ-ბეგ აბაშიძე

ხართ, — მოჰკიდეთ ხელი და ისევე თქვენთან იქნებაო“... შინაარსიანი და ტკბილ-ქართუ-ლი სიტყვა წარმოსთქვა თემურ-ბეგ ხიმშია-შვილმაც...

მონადიმეთ ართობდა მუსიკა და ქართუ-ლი სიმღერები... დიდთ კმაყოფილი სტუმარ-

მასპინძელნი მეოთხე საათზე დაიშალნენ, ხოლო მეორე დღეს—5 მარტს დეპუტაცია, რეჯებ-ბეგ ნიჟარადის გარდა, ბათომს გაემგზავრა...

დეპუტაციაში იყვნენ ქაბუღეთიდან: 1) ისკანდერ ეფენდი ცივამე, ხოჯა, იგივე ყადი-მსაჯული, 2) რეჯებ ბეგ ნიჟარადე, ბათომის ხმოსანი-წვევრი, 3) ყემბერ ალა ხარაზი, მემამულე, სოფლის სამსაჯულოს ყოფილი წვევრი, 4) რეჯებ ეფენდი შაშიკ, პოდპორუჩიკი; მარადიდიდან: 5) ისაკ ეფენდი ხალვაში, პოდპორ. და იგივე წვევრი ბათომის სახალხო სამსაჯულოსი, 6) ჰაიდარ ბეგ ბიზინ ზაადე, პრაპორჩ.; ზედა აჭარადან: 7) თემურ ბეგ ხიმ-შიაშვილი, 8) ჰასან-ალა ირემამე, სოფ. ხორჯომელი, 85 წლისა, 9) ჯაფარ ალა მიქელამე; ქვედა აჭარადან: 10) ჰუსეინ ბეგ ბეჟანიძე, 11) ზაქარია ბეგ შარვაშიძე, 12) შუქრი ეფენდი თურმანიძე; შავშეთ-იმერსევიდან: 13) ოსმან ეფენდი კურდიკიძე, 14) თორუნ ეფენდი ფანჯიძე, 15) ჰეზმი ეფენდი ყუმამე, 16) შევქეთ ბეგ გოგორამე, 17) ასლან ალა ჯიჯარამე, 18) ჰაჯი შაქრი ეფენდი ჩხეიძე, 19) მოლლა მამედ დოლიძე და ანდანჯუვიდან: 20) შერიფ ალა გეგელიძე;—ხოჯა ცივამის გარდა, ყველანი ჩაქურად იყვნენ გამოწყობილნი.

ჩატეხილი ხიდი უკვე გაიღო... ჩვენი ვალია ვეცადნეთ მის გამკვიდრებასა ორივე ძმის—არა მაჰმადიან და მაჰმადიან ქართველთა საბედნიეროდ... **იოსებ არიმათიელი**

შუაღამის ღოცვებიდან

მე მიყვარს შუაღამისას აღვავზნო სანთელი და კვალად ჩავაქრო, ოდნავ შევარხიო შავი სიღრმე შუაღამისა მისი თეთრ-ფრთიანი ნათელით...

აი, გავკარი ასანთი და ავანთე იგი... და მიყვარს ესე, რადგან ამ დროს მე ვევედრები იმ შორეულ უხილავს, რომელიც თვისი მეფურ გულის-თქმისათვის სიცოცხლეს ჩვენსას ხან აღავზნობს, ხან ჩამქრალ სანთელივით ფერფლად აქცევს მიწასთან შესაერთებლად... **გ. ლეონიძე**

ომის ღმერთი

ყველაფერი ომისათვის იწირება... ომის ღმერთი გავვირისხდა და მოითხოვეს შესაწევარს.

ქაბუჯნი რაზმი და რაზმი ომის ღმერთს ეწირებიან,—ახალ-ახალი ძალები ომის ველზედა სისხლს ღვრიან.

და კვლავ ითხოვეს ომის ღმერთი ქაბუჯთა უწვევრ-ულვაშოს, მიდიან ხალისიანად, დაუკითხავად ველზედა, ომის ღმერთს ეწირებიან.

დაცარიელდა სოფელი, ქაბუჯთა ღმერთს სიცილი აღარ მოისმის ველადა, დაობლებულნი მშობელნი გლოვობენ მეტის-მეტადა.

ომის ველზედა სწყდებიან რაზმი და რაზმი ჯარისა, სისხლი სდის ნაკადულივით, ომის ღმერთს ღებავს წითლათა.

და კვლავ მოითხოვეს სისხლის ღვრას, არ ძლება ღმერთი ომისა.

რჩეულნი ვაჟაკანი,—ოჯახის ბურჯნი ცოლშვილიანნი გაიწვიეს ომის ველზედ, ომის ღმერთიც ითხოვეს მათაც...

მუშა ხელი შეცოტავდა, სოფლის დოვლათს და ქირნახულს კარგი არა მოელისრა.

ომის ღმერთი არ იკმარის, მუშა ხელიც გაიწვიეს ომის ველზედ გზებისათვის,—ხარკამეჩიც მიაყოლეს ჯარის საცვებ-გასაძღოლად.

ყველაფერი ომისათვის იწირება...

დაჩა სოფელი ოხრად, მოხუცთა და ქალ-ბაღლთა ანაბარა.

Legatus

ეთერო კი ელოდა...

(ნამდვილი სურათი სოფლის ცხოვრებიდან)
— მასწავლებლო-ჯან, შენი ქირიმე, ერთი აღრესი დამიწერე ამ ქაღალდზე, — მომმართა კანცელარიის წინ ეთერომ და კონვერტი მომაწოდა. ხელში პატარა ნახევრად შიშველი ძუძუს ბავშვი ექირა; ბავშვი დედას მაგრად ჩაკონებოდა. მეორე ბავშვი კი გვერდში ამოპტუზებოდა დედას, კაბის კალთაზე ხელს არ აშორებდა და თან ხმელი პურიით ილოღნებოდა.

— ვის უგზავნით?— შევეკითხე ეთეროს და კონვერტი ჩამოვართვი.

— ვის უნდა გაუგზავნო, ბატონო, და ი უბედურ კაცს უგზავნი! და თან ნაგლეჯ ქალაღღზე დაწერილი მისამართი მომაწოდა. ეთეროს სახე მეემქუხნა და, უცხად, ცრემლებმა დაპა-ღუპით დაუწყეს დენა.

— ყოველ კვირა ვგზავნი წერილს, პასუხი არ მომდის, არ ვიცი ცოცხალია თუ მკვდარი?— თან ეთეროს გული უფრო ამოუჯდა და ტირილს უმატა; ბავშვებმა ერთი გაკვირვებით შეხედეს და, დედის ტირილი რომ გაიგონეს, მათაც ბანი ზისცეს... ეთერომ თავი შეიკავა, თვალეზი ამოიწმინდა და აკანკალებული ხმით განაგრძო: — შარშან მკათათვეში რომ წაიყვანეს, — დაიქცა ჩემი ცოდვით ის თვე, პირველად „ვაენობა“ რომ დაიწყო, იმი შემდეგ სამი წერილის მეტი არ მიმიღია შაქროსაგან... მაგრამ ამ ბოლოს, ღვთის მადლით კარგ სიზმრებსა ვხედავ, — სიზმრების ხსენებაზე ეთეროს სახე გაუბრწყინდა, თვალეზზე ჯერ კიდევ შეუშრობელი ცრემლები აუციმციმდა: სიზმრები დაცდილი მაქვს, არ შეიძლება ამ ცოტა ხანში შაქროსაგან გასახარელი წერილი არ მომივიდეს... ამ ბოლო დროს სულ თვალში მელანდება, და იქნება ღმერთმა კიდევ მალარსოს იმ....

— შენ ვი, დედაკაცო, ი გირაო როდემდი უნდა ეგდოს კანცალარიაში? — სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა ეთეროს, რომ გზირის ხმა მოისმა, გზირს საშინელი, უსიამოვნო სახის გამომეტყველება ჰქონდა, თოფი მხარზე მოედო, მათრახს ხელში უდარდელად ატრიალებდა.

— ზოგი ვიშოვნე, ცოტა კიდე მიკლია, უპასუხა ეთერომ, პირი გზირისაკენ იბრუნა და თან ქუქუკიან ცხვირსახოცში გახვეული თულის თვლა დაიწყო, — ოთხ აბაზ უზანთული უნდა აკლდეს, მამასახლისის მინდა შევეხვეწო, — დანარჩენი ცოტა ხნის ვადით მადროვოს, რა ვქნა, მეც ერთი საწყალი დედაკაცი ვარ, თვითონ იცით შაქრო ამდენი ხანია „ვაენშია“, ოთხი უსუსური ბალდი ჩემს კისერზეა, ყველაფერი მამასისხლოდ გახდა, ბალღები შიშვლები მიყრიან, სიშიშვლეს ვინ და-

ეძებს, ნეტა სიმშლით არ მომიკვდებოდენ... შარშან დამუშავებული ჰირნახულის შემომტანიც ვერ ვიშოვნე ყანიდან, წელს კი...

— შენ რო ლაპარაკს დაიწყებ, კაცი ხომ აღარ გაგაჩუმებს! — გააწყვეტინა კიდევ გზირმა ეთეროს სიტყვა.

— აგიჟინია: „ვაენშია“ და „ვაენშიოა“! „ვაენში“ მარტო შენი ქმარი ხომ არ არის? გზირმა უფრო მრისხანე სახე მიიღო.

შევედი კანცელარიაში, კონვერტზე მისამართი დაეწერე, გადავეცი ეთეროს და გულღდანაღვლიანებული გავეშურე ჩემი ოთახისაკენ...

მეორე კვირას კანცელარიაში ყრილობა იყო; გღეხები ჯგუფ-ჯგუფად იჯდენ; ყვეღას მოწყენილობა ეტყობოდა.

— არა, ძმაო, ამაზე მეტი უსამართლობა რაღა იქნება, მარჩენელ საქონელსაც რო გვართმევენ, ვინც შინ ვართ — სიმშლით ხომ არ უნდა ამოგწყდეთ: გღეხ კაცს უსაქონლოდ სიცოცხლე როგორ შეუძლია? გაიძახოდა ერთი მოხუცებული გღეხი...

— ამდენ „საღდათს“ მაშ ქამა არ უნდა, კაცო? — ჩაიღაპარაკა მესამემ.

— მასწავლებლო „პოქალუსტა“, ერთი ე „პრიკაზები“ წამოკითხე, — მომმართა მამასახლისმა და გაუხსნელი კონვერტი გაღმომცა — „პისარი“ არ არის აქ. . გაეხსენი პირველი კონვერტი და ამოვიკითხე:

„№—у Старшинъ. Объявить роднымъ Шахро Асламазашвили объ его смерти въ боъ съ непріятелемъ“...

უცხად რეტი დამეხსა... ხელეზი ამიკანკალდა, გამახსენდა წარსულ კვირას დაწერილი მისამართი, თვალწინ წარმომიდგა საწყალი ეთერო თავის ნახევრად შიშველა ბავშვებით... დამძლია სიბრალულმა... საწყალი შაქრო... ომში მოუკლავთ... ეთერო კი ელოდა...

გრ. საქაროქედელი



მონეტალე მუსიკოსი

როგორც ვსტევი („თ. და ც.“ №9) ერთხელ პეტროგრადში, კვირა დღეს, ლიგოვკისაკენ გავემართე... პირველ ეზოდანვე, შევხვებო მხარში ხელის მოკიდვით გამოძიყვანა. განვთავისუფლდი თუ არა, ლუდხანაში შევედი. მაშინვე ვილაც გლეხი კაცი შემოვიდა და ჩემს ახლოს დაჯდა. დიდხანს მიყურა, მათვლიერა, შემდეგ ადგა და პირდაპირ ჩემს მაგიდასთან მოვიდა.

— ეგ რა გაქვთ? საკრავი იარაღია?.. — შემეკითხა და უხეში, დაკოჭრებულ ხელებით სკრიპკას სინჯვა დაუწყა.

— ეს სკრიპკაა, — ვუპასუხე.

— ძალიან მიყვარს, დაუკარით...

ლუდის მოვაჭრემ დაკვრის ნება მომცა... ჯერ ისევ სკრიპკას ვმართავდი და ყველა იქ მყოფი უცებ ჩაჩუმდა, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო... დავიწყე დაკვრა...

— ვაშა, კარგია... — მომესმა გამამხნევებელი ხმები, რომელსაც ცხარე ტაშის კვრა მოჰყვა. ის გლეხი კაცი ადგა, გასწორდა და ისევ ჩემთან მოვიდა: — მიბოძეთ, ძვირფასო, თქვენი ხელი, უღრმესი მადლობის თქმა მიწადა. ისე კარგათ უკრავთ, რომ გული გამითბეთ, გული ამატკივეთ...

ერთ ეზოში, სადაც ორი მხერხავი აუარებელ შეშასა ხერხავდა, დაკვრა დავიწყე... ორივე მხერხავმა მუშაობას თავი დაანება, სმენად გადაიქცა, და მოხუც ახლოგაზდა მხერხავს უთხრა: — უყურე, უყურე, სულ წვრილ სიმზე თითებს როგორ ათამაშებს, როგორ გადააქვ-გადმოაქვს, ჩვენც ვგრე ვიტანჯებით აი... დიდხანს მისმენდა, შემდეგ ქუდი მოიხადა და იქ შეგროვილთა და მცხოვრებლებს დაუარა...

— ექვსი შაური შეგიგროვეთ. აი, მიიღეთ... სახალხო თეატრში უნდა დაუკრათ, თორემ აქ რას მოიგებთ; აქ ვერ დაგაფასებენ...

არასოდეს დამავიწყდება აგრედვე მოსკოვში მეეტლეთთან შეხვედრა.

მოსკოვის სამრეწველოს ვეება სავაჭრო ეზო იყო. ყველა ხმაურობს, ვაჭრობა გაჩაღე-

ბულია, ხოლო ერთ მხარეს მეეტლეთები ისვენებენ და რიგს უცდიან...

ჯერ კანტორის მოხელეთათვის დავუკარი და შემდეგ კი მეეტლეთისკენ გავემართე.

— აბა, დავუკრა?.. — შევეკითხე.

ზოგი წამოდგა, ზოგი წამოჯდა, ზოგი კი სრულიადაც არ შენძრეულა.

— დაუკარი, რაღასა ჰკითხულობი.. მოიტავე ბუდე, აი, აქ დასდე... — ერთმა სკრიპკის ბუდე ჩამომართვა და ხელში დაიჭირა.

— მაგრამ, უბრალო რამ დაუკარი, თორემ ვერას გავიგებთ.

— განა იქ რომ ვუკრავდი, გესმოდათ? —

— როგორ არა, ყველაფერი მოვისმინეთ...

— და ვერ გაიგეთ? —

— ვერა.

— მაშ კარგი, ეხლა „ნანინას“ დავუკრავ...

— აბა, გაიგე? — როდესაც დავუკარი, შევეკითხე.

— „არა, ბ-ნო, ვერ გავიგეთა.“ „გავიგე, გავიგე“. „როგორ ვერ გავიგე, გავიგე მაშ... — მოისმა ხმები... — კიდევ უფრო უბრალო — დაიძახა ვილაცამ...“

— კარგი. ახლა გავაგებინებთ. თუ მუსიკას მოსიყვარულის ტანჯვის გადმოცემა როგორ შეუძლიან...

შუბერტისა დავუკარი... — აბა მოგეწონათ? — გათავებისას ისევ შევეკითხე... ჯერ პასუხის გაცემას ვერავინ ახერხებდა; შემდეგ ვილაცამ ხვეწნით წამოიძახა: — კიდევ ერთხელ, ძალიან კარგი იყო...

— „შარმანკა“ არ მოგწონთ? — ვკითხე.

— ეჰ, რა სათქმელია! ის მაღალ ხშიანია, ისე, გართობისათვის... ეს კი .. და სხვა...

— ბ-ნო ჩემო, შეიძლება ცოტა ხანს შეგაწუხოთ? — ერთხელ გისმინეთ და კიდევ მიწადა მოგისმინოთ, — ეზოდან გამოსვლისას მითხრა ერთმა რომელიღაც საზოგადოების მსახურმა, რომელმაც ხელი მომკიდა და თავის პატარა ოთახში შემიყვანა. — დაუკარით რამე ნალელიანი, რომ გულს მოხვდეს...

დაუუკარი...

— თუ ღმერთი გწამთ, როდესაც ჩვენ

უბანში იყვით, ჩემთან შემოიარეთ...—მითხ-
რა გამომშვიდობებისას...

დღესაც ყურთ მესმის და თვალწინ მიდ-
განან აღფრთოვანებული ბავშვები და მათი
ყვირილი:— „ბიძია, ბიძია, ჩვენს ეზოში მობ-
ძანდით“...

და გარდა ასეთ ამბების სსოვნისა მაქვს
ბევრი წერილი, რომელშიაც ყველა დარგის
მცხოვრებნი, კარგი და ავი მოხელენი, ქალ-
ნი და ვაჟნი დიდის აღტაცებით მიხსენიებენ
და ჩემს „ნიქს“ ლეთაებრივად სახავენ... ერ-
თი კარის კაცი კი მთხოვდა კიდევ, დაკვრა
მასწავლეო ..

ილიკო ქურხული



განო ბარველი

ბათუმის სცენის მოყვარვთა დასის რეჟისორად მიწვე-
ული. მასთანვე მიწვეულია ან. კავთელი

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

* *

დრო დროს გამოსცვლის, მოვა უამი დამასამარებს
და ცის შავიერ შავს მიწასა გადამაფარებს.
მოყვარენი კი საფლავის ქვას ზე დამადებენ,
ჩემს ვინაობას სახელ-გვარით დაახატებენ.
დრო დროს გამოსცვლის, წლები მრავლად ჩაინთქებთან,
ნელ-ნელა ხავსით ქვაზე ნაკვანი შეიქმებიან.
და აღიგვება საწუთროში ჩემი სახელი,
არვინ იუწყებს, რომ მეც ვიყავ ქვეყნის მნახველი.
ნეტა არავინ გამოჩნდება დედა-მიწაზე,
რომ ყოფილიყოს საუკუნო სამყოფ ზეცაზე?
ვკითხო: რით არი (კა დიადი, უკვდავ-უკლები?
როგორც ჩემს სახელს, რათ არ ჰშლიან ხავსი და წლები?!
რომ შევისწავლო და ავიგო ძეგლი იმ გვარი,
რომ მეც, ვით ზეცა, დედამიწამ ვერ მნახოს მკვდარი;
დრომ დრო შეცვალოს, იყოს ქვეყნად კარგი და ავი,
ჩემი ძეგლი კი საწუთროში იყოს უკვდავი!..

მ. ველისციხელი

მე მაინც ვეძახი.

გამოგესალმე, წრფელის გრძნობით ვითხარ მშვიდობით.
რა ძნელი იყო განშორება პირველად ვცადე.
მე ჩამოგშორდი, მეგობარო, შენ მიეფარე,
ერთად ვილოდით, მისვლა გვწადა ალთქმულ ქვეყნამდე.
მარტოკა დავრჩი ჩემის ნავით ზღვის ტალღათ შორის,
წარბ შეუხრელად იალქანი მაინც გავშაღე,
თუმცა გავაპე ტალღათ გროვა და გადავლახე,
მაინც მთელი ზღვა უშენობით მე ვერ დავძალე...
და მენატრები, მეგობარო, სულის იმედო,
შენ კი შორსა ხარ და ჩემი ხმა ვეღარა გწვდება,
მაინც ვეძახი ძველებურად, მწადას—ახლო მყავდე,
თუმც ჩემი ხმები შეიძლება ზღვაშივე კვდება...

მედგარი



ალ. ლუარ. გოთველადე

ტყვიის მფრქვეველ მაქანის მატ-
რიალებელი (ბომბანდირი), ომის
დაწყებამდე ჯარში გაწვეული,
ბრძოლაში იყო, ვიდრე გერმანიის
საზღვარზე 18 კრილობით არ და-
ზიანდა. ლვოვის ადგილისთვის და-
ჯილდოვებულია გიორგი IV ხარ.
ჯვრით, ხოლო მრავალ კრილო-
ბათათვის—წარდგენილია გიორგი
III ხარ. ჯვარზე. წვეს მოსკოვის
ქართველთა ლაზარეთში და ლა-
ზარეთის გამგის ნინო ფანიაშვი-
ლისა და ექიმთა მუყაითი მეც-
დინეობით, იკურნება, თუმცა მარ-
ცხენა ხელი დაზიანებული აქვს.

მთაზე ვდგევარ!..

მთაზე ვდგევარ, კლდოვან მთაზე და ცის ტატნობს ვჭკრეტ, ვუყურებ, ძიების და გარდაქმნის გედს შორს სივრცეში მივაცურებ!..

გზას ვერ მიხშობს ღრუბელთ გუნდი, ვერც ავსულთა შავი ჯარი, და ჩემ გედის გიჟურ სრბოლას არ აქვს ბოლო და საზღვარი!..

ის—მომავლის ტალღამ შობა, ტანჯვის ღმერთმა ფრთა შეასხა, და მსოფლიოს საიდუმლოს ამოცნობა უკარნახა!..

ის—ძიების ტალ-კვესია, რისხვის მხებით ფრთა აშლილი, ის—მომავლის შიკრიკია, ცისკრის ღმერთის მოგზავნილი...

ის—ავსულთა საზიზღ ლაშქარს ძღვევის ფარად ევლინება, ის—დატანჯულ შრომის შეიღებს შვეების სიოდ ეფინებს!..

ის—მიწის ხუნდს და ტანჯვის ჯვარს ცის სივრცეში ეზიდება, ბოროტებას ცეცხლით სდაგავს, ის არავის უშინდება!..

ის—მშრომელთა აღთქმის კარებს რთავს თვალწარმტაც ყვავილებით, ის—ჩაგრულებს მისკენ უხმობს ზეციური აღტყინებით...

ჰსურს სევდის მგვრელ შავ-ბნელ ღამეს გაჰკრას თვისი ძღვევის ფრთები, და ზღვა ხმელეთს მიაწვდინოს გამარჯვების, რისხვის ხმები..

ის აროდეს არ შედრკება, ის აროდეს დასწევს ალამს და ჩაგრულთა ლალ განთიადს მოკრძალებით შეძღვნის სალამს!..

ხ. ვარლოშვილი



მუსიკოსი

ია კარგარეთელი

ოც წელზე მეტია ქართულ სამუსიკო ასპარეზზე მუშაობს, დაწერილი აქვს სხვა და სხვა რომანსები, შეკრიბა სახალხო სიმღერები და სასულიერო საგალობლები გადიღო. კონცერტს 13 მარტს „ახალ კლუბში“ მართავს სასულიერო კონცერტს.

გ ა ნ წ ი რ უ ლ მ ბ ა

ცის სივრცეში მოლივლივეს მიწას, ნისლი ბურავს შავად, იმედის სხივს ფიქრთა სძლივეს ჩემი სული გახდა ავად...

არსად უქუი... არსად მხსნელი, კლიტე ადევს მახვილ ენას; არა მწამს რა... არვის ველი, ფრთა მოექტრა აღმაფრენას...

ვერ მიუხვდი აზრს ღვთის ნებას, ვერ ვემონე ბნელს ხანგრძლივად; სურს მოქანცულს ჩემს არსებას გაქვავება ჩუმად... ცივად...

კიკნა-ფშაველი



ბ რ ი კ რ ტ ი

ზეესა სამ მოქ. და ოთხ სურათად (გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 10)

III

იგინივე და ბესარიონი.

პავ. ოჰ, ბესარიონ, კაი დროს მოხვედი, შენთან საქმე მაქვს.

ბეს. სად არიან ეს ჩვენი ხაზენიები, რომ არ მოდიან სახლში!

კესა. რა უჭირა... ბეჩა, ბესარიონ! იმათ არ მოშივდება, იმის ჯავრი ნუ გაქვს შენ. დადიან ნაცნობებში სადილათ და ქე არიან არხენათ.

ბეს. აღხეინობაა ბიძია, მერე მაგი! არაფერს მიჰყიდიან, კაცი არ დაელაპარაკება, დაჯდენ ორივე ცოლქმარი და ილაპარაკონ მარტოკა ეშმაკებივით.

პავ. ქე კი გოუახლდებათ სიყვარული, თვარა ქალბატონმა ამ ბოლო დროს რაცხა გვერდზე დეიწყო კუდის ქანება.

ბეს. ორი ათასი კაცის გადამტერება ხუმრობა კი არ არის. კაის უზამენ გგონია!

ორი ათასი კაცი კი არა, მე და ელიზბარი კინკილიშვილს, რომ ლაპარაკი მოგვივიდა, შენ ქე გითხარი პავლია, მის მერე აღარ მომისვენა: ბატი გადევნიდა მის ეზოში, ესროლა ჯოხი და გააგორა, ღორი გადევნიდა, სტკუცა თოფი და გააკოტირალა, ძროხა გადევნიდა, დგვიფა ნაჯახი და დამიჩხხა. ამ ერთმა ტინტრაკა კახახმა ეს ამბავი დამიწია და ამდენი ხალხის გადამტერებას ხუმრობ, ბიძია!

პავ. ბესარიონ, მე ახლა შენთან მოვდივარ, მაგრამ რაღაი შენ მოდი, მით უკეთესი, აგერ კესაც აქანეა, და შენც ახალი გადაწყვეტილება უნდა შეგატყობინოთ.

კესა. არ გცხვენია, პავლია, რატომ აქამდის არ მითხარი!

პავ. ბოშო, ეგერ მითხრენ ახლა და ქე გეტყვი ყოლიფერს.

ბეს. აწი?

პავ. რადგან ხაზინი ძალიან გაჯიუტდა, ამიტომ გადაუწყვეტენ, რომ ჩვენც—ხელზედ მოსამსახურებმა—ხაზინს ბოიკოტი გამოუცხადოთ.

კესა. როგორ, ბეჩა, როგორ!

პავ. როგორ და არ უნდა დაველაპარაკოთ ხაზინს და ქალბატონს, სალამი არ უნდა მივცეთ, საქმეს მოგვცემს და არ გავაკეთებთ.

ბეს. საქმე მაინც არ გვაძტვრევს თავპირს, მარა ეს დოულაპარაკებლობა ვითამ უშველის საქმეს!

პავ. უშველის რაღა ღროისა! არაფერს მიყიდიან, ქვეყანაზე კაცი არ დაელაპარაკება პრისტავისა და ხუთი-ექვსი ბურჯუის მეტი. საქმეს არაფერი კაცი გაუკეთებს და რომ მოძულდება თავი, არ დააკმაყოფილებს მუშებს გგონია?!

კესა. (ჟოჟმანით) ბეჩა, მაგი რავა შეიძლება! საქმე არ გავაკეთო, არ დაველაპარაკო! მერე რავა უყვარვარ ქალბატონს და თელათ გედირევა.

ბეს. სამსახურიდან ქე დაგვითხოვენ.

პავ. მერე, რაია, დაგვითხოვენ.

ბეს. ხო და არაფერი, ქალი ბევრი მაქვს სახლში და ლობიო. მაგენმა იჩივლონ, რომა სუკის წვადები და ზღუთი თუ არ ექნათ,

სხვას ვერ მიირთმევენ, თვარა მე ლობიოსაც კარგათ გიხსლებით. დალოცა ღმერთმა სოფელი, ლამაზათ გაფიცებული ქალი, კაი ამოღესილი ლობიო, ზედ ბეჯევე რამე. ჩადობილი ქარხალი ან პატრიქანი. კაი თხელი ღვინო კინკილით, რიკინ-რიკინი რომ გააქვს კრინტში იმას არაფერი ჯობია.

პავ. გვერდშიც ლამაზი ბარიშნები. გიტარას რომ დოუკრავენ და დაამღერებენ, გული ფართხალს რომ დაგიწყებს. აი მესმის. ჰზიხარ ქალიშვილებში ალხეინათ და ღლაბურცობ. არც ბატონი გყავს იქინე და არც ქალბატონი. აქანე, რავარც გავეხუმრები კესას და ეშხე მოსული გული რომ დეიწყებს ფხარკალს და სული საცაა უნდა ამევიდეს ზევით, იმ დროს გამაწყვეტიებს ალერსს ქალბატონი, გოუწყდა იმას სახსენებელი. მაინც და რომ დაწყებებებს იმ ზარას რიწკინ-რიწკინს, საშველს აღარ მომცემს. (კესას) კესა, რამდენჯერ ჩოუშხამებია ჩვენთვის... (იფინის)

კესა. (ტუმას დაუწყებს) ნუ იცი შეგლახა ლაპარაკი, ნუ.

პავ. მეიცა, ბოშო, მეიცა! მე რომ მკლავ, რავა ილია ლუკოვიჩს ხომ არ მიყოლი?

კესა. (სიცილით) პავლია, გაჩერდი გირჩევნია, თვარა უფრო მეტი მოგხვდება.

ბეს. მეიცათ, ბიძია, ღლაბურცობა სახლშიაც გეყოფათ აქანე საქმეზე ვილაპარაკოთ. (კესას) ბიძია, რომ კენტრიშობ, რავა მე აქანე კაცა არ მაგდფე თუ რაია! ბებერი ვარ, მარა პატარა კულის გაქანება მეც ქე შემეძლიან.

კესა. უი, ღმერთო მომკალი! ბეჩა ბესარიონ, რას ლაპარაკობ, შენ ქალარას ეგ ლაპარაკი შეშვენის?!

ბეს. შეშვენის რავა, დაყუდებული ბერიკი არ ვარ!

პავ. ასე ჰო, ბესარიონ, ტყუილა გული მაინც გვიმხიარულე, თვალს წყალი დააღვინე.

კესა. (თავისთვის) ამ დახლიფართულს უხვთ როგორი არშიყი ყოფილა! (ბესარიონს) ბეჩა, ბესარიონ, ეგ იმედი მქონდა შენი! მე როგორც მამას ისე გიყურებდი და შენ კი არშიყობა დამიწყე.

ბეს. (სიცილით) გეხუმრე, ბიძია, რაღა დროს ჩემი არშიუობაა, ჩემიც ოხრათა მრჩება. მე აქანა ვაგდივარ და ჩემი ქალი ვინ იცის ვის უპრაწავს თვალებს. (ეგუჯანი იტინას) ნეტა მართლა დაგვითხოვდენ, ჩემთვის ჯობია. ქე მაინც სახლში რომ ვიქნები, ვეღარას გაბედავს. ეს რაცხა ბოიკოტია, ჩემს ქალს უნდა გამოუცხადებდენ, რომ იგია მადლი. არავინ დაელაპარაკება და ბევრიც რომ უპრაწავს თვალები რა გამოვა. (საერთო სიცილი)

პავ. აა, რომ გითხარით ისტეა საქმე. ჩვენც ხელზე მოსამსახურებმა უნდა გამოუცხადოთ ხაზეინს ბოიკოტი. შეიძლება სამსახურიდანაც დაგვითხოვონ, მარა ამისი ნუ შეგეშინდებათ.

ბეს. თქვენ ორშია, ბიძია საქმე, თვარა მე ყოლიფერში ხელი მიწერია, დაგვითხოვენ და წავალ.

პავ. კესა, შენ რას იზამ რომ დაგვითხოვონ?

კესა. მეც შენთან ვარ, ჩემო პავლია, მარა ეს დამდურება რაცხა არ მომწონს.

ბეს. ბოშო, სადაცა ქალიშვილები წეიკიდებით სოფელში საქმაროს არჩევაზე და ერთ წელიწადს არ ელაპარაკებით ერთმანეთს. აქანე, რავა ქვეყნის გულიზა ერთ კვირეს არ დაელაპარაკო ვითომ რაია!

პავ. ბოშო, ბევრი დაგვქირდეს ერთი ან ორი კვირა ეს დამდურება. შენ, ჩემო კესა, ნუ შეგეშინდება, დაგვითხოვენ და ანასუნნი ჩვენ საქმეს, წევიდეთ სახლში, დევიწეროთ ჯვარი და ვამრავლოთ მუშა ხალხი. მარა ისე არ წავა საქმე. ეიხსნება ბოიკოტი და ქე დავრჩებით ისტეველე ჩვენ ადგილებზე. ხომ თანახმა ხარ კესა?

კესა. თანახმა ვარ, მარა მის იმედი კი ნუ გაქვს, რომ ჩვენ ადგილებზე დავგეტოვონ.

პავ. მის ჯვარი ნუ გაქვს. მაგიც ქეა იმ მოთხოვნილებაში ნათქვამი, რომ ძველ მოსამსახურეს ვერ დაითხოვენ.

ბეს. არ დავგეტოვებენ და კისერი უტეხიათ. რამ შეგაშინა, ბოშო! უპიატი გოდაშია შენი ძმაი დელეღატის პოეზლით დეიარებოდა და მამაშენი ასის თავათ იყო ამორჩეული

სოფელში. ექვთიმე ძინძიბაძის ქალიშვილს არც ქე ეკადრება ასტე შშიშარა ლაპარაკი!

პავ. ნუ ყოყმანობთ, ხომ ხართ თანახმა ვადაწყვეტილების?

ბეს. იმე, რა კითხვა უნდა! (კესას) შენც ხომ თანახმა ხარ, ბიძია?

კესა. მე რა შემძლიან, ბესარიონ! სადაც პავლია იქნება, მეც იქ.

პავ. შენ მის ჯვარი ნუ გაქვს, ჩემო კესა, არაფერს გაგიქირვებ. ისტე შეგინახო, რავარც ბუღბუღი. აა, საქმე გაჩარხულია. (ზარის ხმა ისმის) ჩუ... ხაზეინი და ქალბატონი მოდიან და აა თქვენ იცით არ მომტეხოთ ძვალი და არ შემარცხვინოთ კაცი. ხაზეინმა და ქალბატონმა თუ დაგიძახონ მოდით, მხოლოდ მუნჯათ, ენა არ დაასველოთ. (ეგუჯანი წამდგება)

ბეს. შენ ალხეინათ იყავი. შე კაცო, ზარასპი კვახიქამიაშვილს სამი წელიწადია არ ველაპარაკები და მაგენთან თუ გინდა სულ დავმუნჯდები. (ეგუჯანი გადის)

(შემდეგი იქნება)

გოგია

სტენის მოუკვარე



ალ. პავლიაშვილი

დიდი გაჭირვებაში-
ადგა წრეულს ბაქოს
თეატრს: ჯერ რეჟისორი
შადღეაშვილი გაუს-
დათ ავად, შერე დამ-
სახურებული სტენის
მოუკვარე დათავა შე-
დიქ გამოკვდათ სე-
ლიდან, ანდა ნიჭი-
რი სტენის მოუკვარე-
თავანი აღექისნდრე
პავლიაშვილი სიკვდი-

ლის პირზეა მიმდგარი.

ა. პავლიაშვილი სუთი წელიწადია ბაქოს სტენას ემსახურება, რომელმაც პირველი გამოცდისთანავე დაგვანახა თავისი დიდი ნიჭი. ამ ხნის განმავლობაში გულმოდგინეთ ემსახურებოდა ბაქოს სტენას და გადაწყვეტილი ჰქონდა სიკვდილამდის არ მოშორებოდა მას. ნივთიერად

დიდ გაჭირვებას განიცდიდა, მაგრამ იმისთანა მორცხვი და გაუბედვი იყო იყო, რომ ერთხელაც არავისთვის უთხოვინია შეეღა. ახლა ჭლექით დაავადმყოფი ბაღსახანის საავადმყოფოში წევს. ექიმების გამოკვლევით, გადაჩენა შეუძლებელია, თუ არავინ უპატრონა და წმიდა ჭურხე არ წაიყვანა. მადლობის დარსია ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ის ბაქოს განყოფილება, რომელმაც უფასოდ მათავს საავადმყოფოში. გვწამს კიდევაც არ დასტოვებს უფურადღებოდ და დასმარებას აღმოუჩენს წმიდა ჭურხე წასაყვანად. იმედია არც აქაური საზოგადოება დასტოვებს უფურადღებოდ.

შალვა გომართელი

სასიხარულო ფიქრები

(შია მღვიმელის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვა, რომელიც შეცდომით მილოცვათა შორის იყო მოქცეული *)

დიდნო და პატარა ქართველებო!

მადლიანი დღეა დღეს ჩვენთვის, ასეთია იმიტომ, რომ მომასწავლებელია სიტყვის აღორძინებისა, თავდება აღმაშენებლობის გზაზე გასვლის.

მოგესხენებათ, ამ დღის ასეთი შინაარსის მიმტკი არის მიზნდილუი, მიმალუი, უთქმული კაცი შიო მღვიმელი. სწორედ შიო მღვიმელის პატიოსანს უნარს ვანთებთ დღეს ჩვენ წინსახად, რომლის შექითაც დაინახავთ, თუ რამდენი სიკეთის ნერგვა შეუძლიან თუნდ ჩაგრულს კაცს, უმშენიერესი ჭეშმარიტების უხარბო სიყვარულით გატაცებულს.

სამართლიანობის კუნჭული ჩვენი გონიერებისა რომ განადვივით, იმ დასვენს მივწვდებით, რომელიც ამხელს: შიოს ისე ძლიერად სწამდა, უფარდა სიკეთე ჭეშმარიტებისა, რომ უარი სთქვა თავის თავის კეთილდღეობაზე, საკუთარი სიტყვის სიტყვების შესაძლებლობის ზრუნვაზე და თვით სიტყვად შესწირა ამ სიკეთისთვის გზის კაფუას ეკლიანს და სავსეს დაბრკოლებით, სიმწარით.

ეს დღეა შიო უფრო საგონებელი, და-

*) ვინაიდან ამ სიტყვამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია და საზოგადო ინტერესს არ არის მოკლებული, ვებუღავთ სრულიად უცვლელად.

საფიქრებელი და საკვირველია, რომ არსებული სიტყვის შინაარსი, ერთეულიდან დაწყებული მთელი კაცობრიობის თავს დასტოდან უბედურებადის, განკვირვის მხოლოდ და მხოლოდ აღმანათა შეცდომებზე, ვეკლავთის ეახლ ნიადაგზე დაეენებაზე..

ამ არსებულ სიტყვას თუ დრმად ჩაუკვირდებით, აშკარად დაინახავთ, რომ ვეკლავე მეტად ჩვენი შეცდომებით დაზარალებულია ერმა, მასწავლი თაობა, ე. ი. მომავლისთვის ზრუნვა და შემოქმედება.

მამა-კაცი, ეს თავისი არსის უმანკობა დაკარგული ქმნილება, თვის ხელში მპრობელი მარტო თავისით კარდაქმნილ ქვეყნიერებისა, გაღიზიანებული და ვეკლავთის მანკიერად გამომეენებული, თვით თავის თავის მომსახობი, მარტო ნივთიერ საზრდობას კისრულაბს მოზარდ თაობისას, შეიღებისას; სოლო ჰური არსების გარეთად შეუგნებლად შეიღებს აერის დედას, დედა-კაცს, დედა-კაცს, რომელიც მამათა ქვეყანის ნივთად უქტეკვა, რომელიც ვაჟს მოსაწვევტ ვვავილად მოსჩვენებისა და განურიდება იგი თავისი ქვეყნიდან გაზარდნა მას თავის სუსტს სხეულში სული და მონაბრებულ შეიღებისთვის თავისუფალი ფურჩქენილი სულის შემოქმედებით რიგინი აღმზრდელობა გაეწია.

დღეს სულდალუი, გულგამხარი დედა დასუჭული თვლებით მამის ქვეყანას იქით ვერას ხელავს და ისიც ზრდის შვილს თავკამობით აზიარბს ეს შვილი ბუნების სისრულე ამცდარს, სიღამაზე ჩამკვდარს, გულის თქმათა მარეში გაღაკვავებულს ნივთიერ ქვეყნის ბრუნვას. ეს დედა-კაცი გატაცებულია შიო, რომ უხვ საშოგრის გზაზე დაეენებით ფუფუნება მოუზოგოს თავის შვილს ეკრძოდ და იმას იქით რა მოხდება, ფიქრდაც არ მოსდის. ხოლო ხდება ის, რომ ასე აღზრდილი აღამანი თუშტა ეწაეება ფუფუნებას, სხეულებრივ სიტყვობას, მაგრამ იგი დღის და დატირის, უზივის სიტყვის არაარბას, შირადად შესიმიტობს და ზოგადდ კობს...

ასეთ დატაკთა ხელში ვარდება ერმათა ფურჩქენა-აუვაგება და განა არ უნდა ვიგონბოთ, თუ რა მადლიან, დიად საქმეს ემსახურება შიო მღვიმელი?! ვეკლავედ კობად რჩენილს, უპატრონოდ

მიტოვებულს, განათახსირებულს შირბებში მეოფის მოზარდ თაობას! მის გრძნობა-გონების გაშუქებას, გაკეთილშობილებას...

თუ უველას ზევით ნათქვამი გაითვალისწინეთ, განცხრეველთ მოგონება, რომ სიტყვას-სიტყვას და შორებულა სიმართლეს, ჭეშმარიტებას, ადამიანი მოკლებულია ბედნიერებას, საღ სიმხიარულეს, სისრულის გრძნობას, რომელსაც თავისით იწეობდეს და ზოგადით ათავსებდეს, სამართლიანად აღმოგვადებათ კითხვა: მამ სად, როგორი გზით გავწიოთ სისრულისკენ?

შირველოფილ ბუნების ქაოსიდან რომ დავიწყოთ, ვხედავთ, რომ ბუნების ძალი ურთიერთის გაგვლით შენების შემოქმედებას იხენენ; ურთიერთის შესუვდრა, შერჩევა, შეკლება, შეთანხმებით თვით კარდაჭქმნიან სიტყვას-სიტყვას, რომელსაც მეცნიერება დიფერენციალის უწოდებს და რომლის მეოხებითაც სადა ორგანიზმი რთულდება უფრო საინტერესო, სრულქმნილებად. ხალხი მწვერვალება ამ სირთულის ნაყოფისა არის ადამიანი. შესამჩნევია, გასაკუბია, რომ რაც უფრო რთულია არსება, უფრო ძნელია გარდაქმნა, უფრო დაუძლეველია, მაგრამ არაფერია იმის მახვეებელი, დამმტკიცებელი რომ იგი გარდუქმნილია, ან და მუდამ არა სდგას იგი გარდაქმნის გზას. ის კი რომ ჩვენი დროის ადამიანი ნერვებ აშლილი დადის და დარბის უხეობობას, სწორედ გარდაქმნის ახალ საფურსურზე შედგომის აუცილებლობის მომასწავლებელია. კიდევ ის, თუ მოიგონებთ უთვალავ გუნისებს და ნიჭიერთ, რომელნიც უფრო გრძნობიერნი, ალღობანი არიან და სულ იმას სწივიან, მოსთქვამენ, რომ ბუნებას დაშორებულა ადამიანი და ამიტომ უბედურია, ამასაც ადამიანის სწორე, სისრულის გზასე გავანის სიმპტომად დანახავთ.

ესა ავიდოთ თვით ბუნება და მისი მწვერვალება, მეფე ადამიანი ერთად.

თქვენი, აქ შობილთა, თქვენი ქვეყნის შვილის ძვალი რომ აიღოთ და ქიმიან დააშლევინოთ, გაიკებთ რომ ამ ქვეყნის შვილის ძვალი შემადგენელბით განირჩევა სხვა ქვეყნის ადამიანთა ძვლიდან. ასე რომ მიყოფოთ სისხლი, კუნთი, ძარღვი და ნამეტნავად უნახესი ქსოვილი სხეულისა ტვინი, ასეთსავე შედეგს მი-

იღებთ, ე. ი. დიდს გარჩევას. რა არის ამისი მიზეზი? მეცნიერება ავიხსნით: მზის უწყვეტი მანძილიდან გავლენა, მიწა-წყლის შემადგენლობა, მიწის ნაყოფიერების თვისება და უველას ის მიზეზები, რომელნიც ამ მიზეზების ურთიერთის გაგვლისაცან ხდება. ჩვენი სხეულის სხვაგვარი შემადგენლობა და მისი წარმომადგომლობები ერთად ქმნიან ჩვენი სულიერი შესაძლებლობის შინაარსსაც და ამ უსულ და სულიერი ბუნებით წარმომადგომლობა ჩვენი ენა, მუსიკა და მთელი უნარიანობა ფიზიკური და სულიერი მუშაობისა. მამ ესა აშკარაა, რომ სხვის ბუნებაზე გადასტომა, სახტად უცხო მიღება გავაება საკუთარი ბუნებისა და ნაბოლოვრად დასაგულბელია თვით ჩამსტარს ბუნებაში...

გაჩხედეთ თქვენ ქვეყნისა და გაითვალისწინებთ, რომ უველასე მრავალმხრივი, მრავალშედლებიანი ბუნება, ტურფა და სარდლობელი თქვენი ქვეყნისა. ესა ადვილი გასატებია ის, რომ შირველად ადამიანთა რთულ ცხოვრების აკვანი მართლა თქვენი ქვეყნისაკენ გაიწია, ამ მრავალფეროვანებაში უფრო მალე მოკსწრო უფრო რთულის აკინძვა და განსახიერება, ნათელი მიზეზი ქმნდა უველას ამას. მამ ნუ ჭკარავთ თქვენამდე მოღწეულის ამ ბუნებაში რკვეულს, მასთან შეუარებულს, ჭარმობიულს, მშვენიერს თქვენს თავს, ნუ ჭბუნავთ თქვენს მხატვრულს, მდიდარ ფერადებით სავსე ქართულ ენას, ნუ ანებებთ თქვენ მიწა-წყალს სხვას: ის თქვენი წილია და თქვენ მისი.

მოზარდნო! ისწავლეთ ადამიანის სიბრძნით მიხწეული ცნაურებანი და უკანვე დაუბრდით თქვენ სამშობლეს! თქვენ გაუნსენით გული მთაბარს და მისი საუნჯე, თქვენი ნათესავი თქვენ გამოიღეთ! ურთიერთის მსგავსება უფრო ადვილად გაიკებს არსებულს, დაჭმობრილდება, შეკთვისება. თქვენი ოფლი თქვენს მიწას ახეურეთ და თქვენ უფრო შემრგოთ შეგუთვისებათ მისი დავაწლი!

და აი ჩვენი ობლად მოღვაწე შობც განა სამშობლეს სიფავრულს ან გასწავლიდათ მთელი თავისი სიტყვასწე?! დაინსომეთ რა ნათელ გზასე უველია და უტარებინართ!..

წარმომადგინეთ თქვენი სამშობლო მთელი თავისი სილამაზით; თავისი ბუნების მტკველ-

ბით და დაინახავთ რომ, იგი პოეტის თითონ მთელ ქვეყნიერებაში ჩაქსოვილი. მისი ბუნება პოეტურად დაღაღებს მთელ ბუნების სიტყვებსა და ავი მასში მღერა უფელა ერის პოეტს მოადგება ხოლმე პირზე, როცა კი მოხსენდება. ავი თვითონ მის ერში უფელაზე ძლიერი ნიჭი პოეტურია, როგორც სამუაროს გენია შოთა; ავი დღესაც პოეტური შემოქმედების მიდრეკილების სიუსხე ზოგს თქვენგანს აჯავრებს კიდევ: „გაგონილა ამდენი პოეტები...“ ავი უფელა გვარი განებითი ნამუშევარი ჩვენთა ხორცშესხმულია პოეტურად, რომ ავიდროთ თვალსაზრისად კი. ძველზე გაგებინებთ ასეთი იყოფო, ხოლო ჩვენი დროის თვალსაზრისად მკვლევარიც რომ ავიდროთ, ჩვენი თანამედროვე კარგად ცნობილი, ბევრჯერ მოსმენილი ბ-ნი გრ. რაბაქიძე, ეს ქართველი სული—რანდულ ელემენტ დაკარგული ევროპაში, რომ გესაუბრებთ თავის სტანზე, განა ქართული ერის სიღამასის შადრევანად არ გადაქცევა ხოლმე?! მიზეზი აშკარაა.

ამავე მიზეზით დღესაც შეგვიძლიან ჩვენი აწითკებულო, გაღვარცდილი სამშობლო ისევ ჩვენ თვალიან მყოფ პოეტურ გენიათა შემოქმედებით შევკრათ გასაფრთხილებლად, საფიქრებლად, მიზნად და საბედნიეროდ. მოვიგონოთ ვაჟა, ეს მთის შვილი დღე და დამ რა ზღერით სამშობლო მიტოვებულა ბუტბუტებს და ამირანივით მიჯანჭულს გულდაღარულ საუნჯის ტყერით გულდვინდვი ეწიწება.

მოვიგონოთ წამებული ილია, რომელმაც მეტად თვალიმეორად იხილა სულით და ხორციით გასრესილი სამშობლო და მთელი თავისი სიტყვებზე ხან აქ ახკურთ თავისი სიტყვების ნაკადული გასაღებლად და ხან იქ.

ამოუყენოთ მათ პოეტი შანშისშვილი, ეს სხვა ძლიერი მომენტის მოწამე, როცა მთელი სამშობლო წაღვევის მუქარა ტრიალებს ქვერში და იგი მამინ კავკასიონის ქედს მოგაგონებთ, მკვიდრი ზურგი რომ უცხო მხარეს მიუშვრია დაიფაროს თავის საუნჯე გადმობოტინებულ უცხო ხელებიდან, გადამჭიშკებულ ქუერიდან, ხოლო შორე მხარეს კალთა გაუშლია, აუფიქრებულს სხვა და სხვა ფრად თავისიანთა სამყოფად.

გერ მოამორებთ ამათ პოეტს გრამაშვილს საკუთარ ღვინაქაქის საკუთარ ღვინის წარმო-

შობილს, თვით ხალხის სისხლს და ხორცს, კაცს უთახსოს, მაგრამ მეტად რანდულად მოცინარე პირით, მოქარგული ენით მოლოკიკეს სიტყვების ვეგვილებზე, სამშობლო არე-მარეზე აღმოცენილ სიტუარფეზე; უმანკო სიუფარული უნდა შეგაუფაროთ მან, გრძობიერი გაცხადრო და უცხო რამეს მთელით მისი მოხერხებოდა.

შემახსენიეთ ამ კონანს აკაკი, ეს სავიარგული ხელაგანი მთელი სამშობლოს სიტუარფის მღერისა; აკაკი, რომელიც არც ერთს გამწარებულს წამს არ უჯერის, სტუმრ ბუეს და ნაღარას თავის სტრფიადლოს შეგრძობით და აღერის ნაკადულად მოუგდებს თავის ნიჭს თავისი ტურფას, სამშობლოს სიმღერად.

მამ ბევრის ტანჯვით გული არ გაციტვდეთ, დაინავების ანდლით არ მოკეჩვენოთ! დღეიდან ჩაქვდროთ ჩვენს გულში ის, რომ სწორედ შიომღვიმელის ანჩეული გზა ჩვენი ადგენისკენ წამეფანია, რომ შიომ ჰმ წელიწადია მშობლიურ ღიტრატურაში, განსაკუთრებით საბავშოში განუწეუტლად უანგაროდ მუშაობს და ჩვენ ერმათა სულს გრძობიერი გულით, ფრთხილის მპვერობით, აღერით სავსე ენით გულს მიიურდნობს და ბადეთ ქსოვილ უმადლეს ჭეშმარიტებასთან აატარ ჩატარებს. რომ თვით ბუნება ამ სამსახურისთვის შიოს შეფერებით, როგორც ქართველის კერაზე სიტყვების მღვიმებელს პოეტური ჩანტიც მისცა, ჩვენს დაუნახაობას შიომ განმორებით არ გაეპასუხა და შემოქმედებით სდარჯობს სრულყოფას ჩვენსას, ფარგანად დასტრიალებს აღმამენებლობის გზაზედ გაჭვავს თვით სიტყვებზე.

მოვიხსროთ მის წინ გულხმეირა თავი, ხოლო სიტყვებზე შეგვინოთ, რომ ტურფა ქვეყნის შეილებად დაგვანდა.

ბარბარე სულხანიშვილი


მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა

„გიორგი და გიორგი“, გამოცემა „კლიმა“ 7 კ. ძალიან ვწუხვარ, რომ ის საამო საკითხავი, ჩვეულებრივ გაზვიადებულ ფრანკოლოგიის მოკლებული წიგნავი, რომელსაც „გიორგი და გიორგი“ ქქვიან, ცნობილ ავტორ მელანისი, მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანებში ვიხელოთ.

კითხულობთ და ვერ განგისაზღვრავთ ის მასშტაბი, რომლითაც ავტორს ორი პიროვნების—გიორგისა და გეურქას—სახენი დაუზომია. ამ პატარა წიგნში გზვდება ისეთი საგულისხმო რამ, რომელიც ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ვითარების გამოისახველია. ჭეხდავთ იმ დაქვეითებას, რომელიც ჩვენი ხალხის ვითომ უკაცთმოყვარეობისა ნაყოფია. გიორგის პიროვნება, როგორც ტიპისა, საგულისხმიერა ორ გვარადაა. ჭერ ერთი, მასში გამოსჭვივის ქართული კაცის ხასიათის ერთი მუხლი—უადრესი „სტუმართმოყვარეობა“, რომელიც გიორგის დაუფიქრებლად, გადაჭარბებულად შეუცნია და ამით თითქმის სასაცილო გამხდარა, მით უფრო, რომ ეს თვისება სხვას ბოროტად უსარგებლნიან: მეორე, —გიორგი სარკაა, რომელიც დღევანდელ ქართველობას თავისი თავი უნდა აჩვენოს და სასარგებლო აჩსებობის პერსპექტივებით ტადუშადას. და თუ ეს ასე არ არის, მას რას მიასწავებს ის მდგომარეობა, ის ფარგალი, რომელიც უსასაათო გეურქამ დასაკუთრან?! გეურქა, რომელიც პირველ გამოცხადებისას „ცხრად მკაკული“ იყო, იმდენს ხერხს, იმდენს უპატივცემულობას ხმაობს, რომ სოციალისტის თანდათანობით გიორგის ქანებას ხელთ იგდებს. ამ გამოდრებასთანვე დამოკიდებულია მისი სახელის განდიდება. თუ იგი პირველად „უსასხელი“ იყო, შემდეგ რიგ-რიგად თავის სასიყვარულო იყო, შემდეგ რიგ-რიგად თავის სასიყვარულო იყო... და საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მისი შემწე გიორგი თავის მთხროვანად გამოიყვანა...

აი, ეს გიორგის თანდათანობით დამცირება-დაცემა, და გეურქას განსახელოვნება და გამოდიდება, რომლებიც გარდაქმნა, დირსშესანიშნავ ავტორს —მელანისა—ისეთის მომხიბვლელობით, ისეთის სამართლიანობით უმეტეს-ნაკლებობით აქვს აღწერილი, რომ, ჩაფიქრების შემდეგ, მისი ნაჭის დიადობას უეჭველად აღიარებთ... ენახომ ისეთი საამო, შედარებით, უშეცდომოა, რომ ამ მხრეაღ დიდ განძის წარმოადგენს... და ჩვენც არა დაგუჩრენია რა კარდა იმისა, რომ მელანისა მხეობა და მის კალამს გაფოლადება ვუსურვოთ ..

მიშო



სახალხო სახლი კვირას, 6/III დ. ჰონქაძის ხსოვნის აღსანიშნავად პ. გელიევილიმა წაიკითხა ლექცია. გააცნო ხალხს დ. ჰონქაძე და განმარტა მისი შემოქმედება „სურამის ციხე“. დ. ჰონქაძის სურათი ვარდ-ყვავილებით იყო შემკობილი. წაიკითხეს ლექსები: ბაბილინამ დ. ახვლედიანისამ, გ. შინატყელმა, ახოსპირელმა, ქუჩივილიმა და სხ. შემდეგ სახ. სახლ. წრემ წარმოადგინა ილია ჭავჭავაძის 3 მოქ. დრ.მა „ბატონი და ყმა“. წარმოდგენამ საშუალოდ ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო. —ლი

ავლაბრის პალას-თეატრში შაბათს, 5 მარტს ავლაბრ. ქართ. წარმ. მმართ. სცენის მოყვარ. ამხანაგობამ წარმოადგინა 4 მოქ. დრამა „უმეშეჯარნი“. სამწუხაროდ ხალხი ძლიერ ნაკლებად დაესწრო. საჭიროა სცენის მოყვარეთ გათვალისწინებულ ჰქონდეთ თვისი მრეფლის ინტერესი, ყოველთვის მხედველობაში იქონიონ ხალხის ხალისი, ართივან აღლო და ისე აწარმოონ წარმოდგენების საქმე. მონაწილენიც ვერ იყვნენ მომზადებულნი: რევაზოვი (სტეფან გაბრიელი) ბევრჯელ ისე გადააბავდა სხვა და სხვა აზრს ერთმანეთზე, რომ ხალხისათვის გაუგებარი რჩებოდა, ბევრჯელ უზაროდ, უგრძობლად იმეორებდა სიტყვებს. სააკოვისას (ამისი ცოლი) ბეჯითობა ეტყობა, მაგრამ კარგი იქნება ქართული კოლა წმიდად დაიცვას და არ ამოხინჯებდეს. სულხანიშვილი (ვისია) ბევრჯან შეუფერებლად იქცეოდა, მაგრამ მიინც საშუალოდ ხელს უწყობდა. მარგველაშვილი (გლაშა) სუსტობდა, საჭიროა მეტი გრძობიერობა, მეტი თვისი პიროვნების დავიწყება. ი. ჟივიძემ (ვეგორი, გლაშას ძმა) კარგად შეასრულა, უფრო კი მეტი მოვთხოვებოდა, მაგ. გაჯავრების დროს, ბევრჯელ სახის გამომეტყველება სულის მოძრაობას ვერ გამოხატავდა. რომანიშვილი (გერას-მე) როლი, თითქმის, ზეპირად ჰქონდა შესწავლილი, სხვაფორივადაც არა უშავდარა. რეჟისორობის მხრივაც ნაკლი ემჩნეოდა.

წარმოდგენა დაიწყო თითქმის 10 ს. გათავდა 12¹/₂, რაიც სასურველი არ არის ვეფხო

დ. ზუგდიდში კვირას, 21/II, ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ახალგაზდა სცენის მოყვარებებმა წარმოადგინეს „ბატონი და ყმა“, დრ. 3 მ. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. არა უშავდა ვ. ჯიქიას (თ-დი დათიკო). კრებები იყვნენ აგრეთვე პ. აღამია (გაბრო) და კ. ანთელავა (პეპია), საერთოდ პიესამ კარგად ჩაიარა. დასასრულ წარმოადგინეს დ. აწყურე-

ლის ვლ. „ორი მშვიდი“, რომელშიაც ბევრი აცინეს საზოგადოება ვ. ჯიქია და ვ. მეუნარგამ. ვუ-სურვებ ამ ახალგაზდათა წრეს გააზრდებოდეს.

კამყოფილი

წვრილი ამბები

◆ **სასულიერო კონცერტი**, ჩვენი დამსახურებული მუსიკოსის ია კარგარეთელის ხელმძღვანელობით, თბ. სასულ. სემინარიის ქართულ მგალობელთა გუნდის მიერ გაიმართება დღეს, 13 მარტს დილით, „ახალ კლუბის“ დარბაზში. პროგრამა ახალი საგალობლებისგან არის შემდგარი და საყურადღებოა.

◆ **კომპ. მელიტონ ბალანჩივაძემ**, როგორც პეტროგრადიდან გეტყობინებენ, დაამთავრა თვისი ოპერა „თამარ ცბიერი“, ქართულად და რუსულად (რუსულის ტექსტი ვ. ველიჩკოსი). ოპერას ამზადებენ და ამ ორ თვეში პეტროგრადის მიხეილოვის საიმპ. თეატრში დასდგავენ ავქსონის ლობზარობით. ვისაც მოუსმენია, დიდათ აქებს. განზრახულია ცალკე წიგნადაც გამოსცენ. კომპოზიტორი ამ ჟამად სწერს ახალ რომანსებს. დაუწერია: „ქართული ჰიმნი“, „სამშობლო ხევსურისა“ და სხ. ნაწილი მათი პეტროგრადში უკვე იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა.

◆ **შალვა დადიანი** ავდაა და, როგორც ქუთაისიდან გვაცნობენ, ლოგინად წვეს. მას განუზრახავს, შემოდგომამდე აღარ მიეკაროს სცენას და მხოლოდ ლიტერატურულ შრომას მოჰკიდებს ხელს.

◆ **ხელის მოწაბრით** გამოვა ნიკ. ტარ. დადიანისა და მისი შვილის—შალვა დადიანის ნაწერები.

◆ **ქართ. დრამ. დასმა** სახ. სახლში ორშაბათს, 7 მარტს წარმოადგინა „ოტელო“. ხალხი მრავალი დაესწრა.

◆ **მკ. ივ სარაჯიშვილისა** 1000 მ. შესწირა ქუთაისის თეატრის ასაშენებლად.

◆ **წმინტაფხრის ბაღამაშვარი** თეატრის ასაშენებელ თანხს გასაძლიერებლად ადგილობრივმა ვაჭარმა—ბანკის დირექტორმა მელიტონ გაჩეჩილაძემ შესწირა 400 მან.

◆ **ქართულ მოღვაწეთა** აგარაკის ასაშენებელ თანხის გასაძლიერებლად ნინო ქ. ყიფიანისამ შესწირა 300 კვად. საყენი მიწა ქვიშხეთში.

◆ **ალ. სიმ. ლორთქიფანიძე**, ქართ. მოღვაწეთა აგარაკის აღმშენებელ კომისიის თავმჯდომარე, სთხოვეს ყველას, ვისაც ხსენებულ კომისიის ბარათები ანუ მოწოდებანი აქვს ფულის შესაკრებად, შეკრებილი ფული ჩქარა გამოუგზავნოს და ანგარიშები გაუსწოროს.

◆ **მგოსანი ს. აბაშელი** უკვე დაბინიდა სოხუმში შანშივის პანსიონში. ბინა საუცხოვოა და თუ ნივთიერად ხელიც შევუწყეთ, სრული იმედია, მალე განიკურნოს.

◆ **მგოსანმა გელამ**, ასტრახანს გადასახლებულმა, საშიში ოპერაცია მშვიდობიანად გადაიტანა

და უკეთაა. ამ ჟამად სთარგმნის მილტონის შესანიშნავ პოემას „დაკარგული და დაბრუნებული სამოთხე“-ს. დასწერა პოემა „ნანგრევებზე“ და ორ მოქმედებითი პიესა „ბედის ფერხული“.

◆ **ქართულ ძალთა** ერთ ჯგუფს, ნინო ყიფიანის თაოსნობით, განუზრახავს სასადილო მოაწყოს და შემოსავალი ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ას გადასცეს ნიკიერ ახალგაზდა ქართველთა შესაწევრად. ნ. ყ—სამ ამის შესაფერი განცხადება უკვე წარუდგინა ხსენებულ საზ-ას.

◆ **ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ბამ** გადასწყვიტა ამ ზაფხულს ექსკურსია მოაწყოს ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის შესასწავლად.

◆ **ქუთათურ მანდილოსანთა** ერთი ჯგუფის თაოსნობით ქუთაისში გასულ კვირას „ფინჯანი ჩაი“ გაიხსნა, რომლის შემოსავალი გადაიდება ქუთაისის სააღმშენებლო ფონდის გასაძლიერებლად.

◆ **ახალი პიესები** 1) არციაშვიის „ველურის სამართალი“ და 2) ურვანცევის „ვერა მირცვეისა“ რუსულიდან ქართულად სთარგმნა ივ. თ—ძემ. ამ ჟამად სთარგმნის შიმანსკის „სისხლი“-ს.

◆ **გასულ კვირის ნომარში** მოსათავსებული წერილი „პირველი მერცხალი“ ვერც ამ ნომერში იბეჭდება.

◆ **დ. წმინტაფხრის** კვირას, 6 მარტს, საკრებულოს დარბაზში მსახიობ ვ. ურუშაძის საბუნებისოდ მ მდივნის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა კომედია „საძაგლი“, დ. ერისთავისა და „ჩემი ბრალია“, თარ. ვ. შალიკაშვილისა. თეატრი გაქვილი იყო საზოგადოებრივ. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. მობუნებისკენ მიართვეს ფულად 50 მან. და ვერცხლის ძვირფასი საჩუქრები.

◆ **სახალხო სახლი** 9/III წარმოადგინეს პირველად ახალი პიესა „ბარტერ ტურაზერ“. რეცენზია შემდეგ.

ს. აბაშელს ბრძოლის ველიდან

ძლიერ დავგაღონა ჩვენი მგოსნის ს. აბაშელის ავადმყოფობამ უსურვებთ მალე გაჯანმრთოლებას და ამასთან ვახსლებთ ჩვენს ანხანაგურ ნივთიერ დახმარებას „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში. იმედია, ყველა გაუწყვეს ნივთიერ დახმარებას. შემომწირველთა სია: სამ-სამი მან. ა. სერგოშვილმა, გ. კობიძემ, კ—?მა მ მ., კ. ქავთარაძემ მ მ.; ორ-ორი მან. ს. ტ—ოვმა და ი. ქელიძემ; თითო მან. მ. ბეჟაშვილმა, სულ—18 მ. *)

ქალ. კავშ. სასანიტ. რაზმის წევრთა მონაღობილობით გ რ ი გ ო ლ კ ო ბ ი ძ ე.

ს. ხანოს-კალა,

*) ფული დანიშნულებისამებრ გაეგზავნა ავადმყოფ მგოსანს სოხუმში.

„ახალი კლუბი“

კვირას, 13 მარტს.

ია კარგარეთლის ხელმძღვ.

სასულიერო კონსერსი

რომლის წმინდა შემოსავალი გადაიდება სასულიერო სემინარიის ღარიბ მოწაფეთა სასარგ.

ბილეთების ფასი 2 მან. 20 კაპ. 40 კაპ. გაიყიდება კლუბის შესავალში.

დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე.

სახალხო სახლი

სამშაბათს, 29 მარტი ქ.რთ. დრამ. საზ-ის დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება:

დალატი

დრ. ნ მოქ. ა. სუმბათაშვი. თარგ. გ. ყიფშიძისა ზენაბი—ნინო დავითაშვილი.

მონაწილენი: ქ-ნი: ქიქოძე, ბეჟანიშვილი, ბ-ნი ვ., გუნია, გომელაური ზ., თარალაშვილი ი., კორიშვილი პ., იმედაშვილი ა., იშნელი გ., მამფორია ი., უფიძე ი. სარული მ., ვარვარიძე ვ., ჩაგუნავა ნ.

ადგილების ფასი 15 კ.—1 მან. 50 კ-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი ან დრ. მ. ნ. ი. ა. შვილი

სახალხო სახლი

ხარკოვას, 25 მარტს.

მ. კავსაძის ლოტბარობით

დიდი კონსერსი

თანამედროვე აზრი

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ. გაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ. ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნან: Тифлисъ, поч.

ящ. № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლგას ქუჩა № 6 მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილენად სთხოვს ფული 20 დეკემბრამდე შემოიტანონ.

„განათლება“

ქუჩა-გაზეთებს კანტორა

ქ. თბილისში ოლგას ქუჩა № 6.

გზავნება აკეთებს: „თეატრი და ცხიფრება“, „თან. აზრი“, „რუს. მათრახი“, „საქართველო“, „Тифлисскій Листокъ“, „Русское Слово“, „ქორაზონი“, კედლის კალენდები და სხ. და სხ. ქართული წიგნები. ფული რა წერილები უნდა გამოგზავნან შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почтовый ящикъ № 96, С. Таварткиладзе.

სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატებით გაზეთი ღირს წლ. 9 მ. 50 კ., ნახ. წლით 5 მ., სამი თვ. 2 მ. 50 კ. თვით 90 კ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას, თხუთღებან თანამედროვე სოციალ-პოლიტიკურ კრავ. მდგომარ. შესახებ.

თხუთღების დაწერაში მონ. იღებენ.

ქ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, ვრ. გუელისიან, გ. ლასხიშვილი, გ. შაიაშვილი, გ. რცხილაძე, გ. ქიქოძე, ს. ფირცხალავე, თ. ლლონტი და ა. ჯაჯანაშვილი.

მისამ.: თბილისი, „სახალხო ფურცლის“ რედ-აკ., სახალხის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6.

ნომრები „აპროკრა“

ახლად შეკეთებულა, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძველთან ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და ანა). თბ., მიხ. პრ. № 6. ტელ. 13—14 (წ)

სცენის მოყვარე-მუშაკთა საუურადღებოდ:

И. Т. Полумордвиновъ.

Списокъ пьесъ

На грузинскомъ языкѣ,

разрѣш. изъ представл. на сцен. Кавк. Края. ц. 40 коп. Тифлисъ Цензурный Комитетъ

Донаволено Военной Цензурой съгласно „სორაპან“

უკვე იბეჭდება
 გველსათვის საწირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიძუპათა სრული ლექსონის

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნა-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, წამული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოგარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სანელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაეზაენით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი გამოსვლის უამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 კა).

ხელის მოწერა მიიღება: ქურ. "თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში "სორაპანს" -ს სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. "Театри да Цховреба" Иос. Имедашвили.

1916 მიწება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი უურნალი იუმორისტული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

წელიწადი **„თეატრი და ცხოვრება“** წელიწადი გამოცემისა **წელიწადი**
 მეოთხე **წელიწადი**

1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

უურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა უურნალიში ხუთასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა კრისტეშობისთვის ნორმებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება "სორაპანის" სტამბაში (მადათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დღით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. "Театри да Цховреба"—Иос. Имедашвили. რედაქტორ-გამომცემელი ანა იმედაშვილი

ტელეფონი № 15—41.